1964/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (236) 30 იანვარი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

41. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ნ. აბრამოვის გათავისუფლების შესახებ.
42. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. მ. პეგოვის დანიშვნის შესახებ.
43. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ი. ბრეხოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
44. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ფედოროვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
45. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის საერთო-საკავშირო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

46. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ სტუდენტთა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მშენებლობაზე ყაზახეთის სსრ ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებში.
47. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ნ. ვ. პიგულევსკაიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
48. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო არტისტ მ. ი. ცარიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
49. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის მ. ე. ომელიანოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჩ. ბ. უიანაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
51. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. კ. ზაპოროჟეცის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
52. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. მ. მაისკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
53. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იაკუტიის ასსრ ალმასის მომპოვებელი მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის სავაჭრო შეთანხმების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა კუვეიტის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ი. შამასმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა კენიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. ა .ოტუკომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტ. სიმოდამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგეჭკორის რაიონის დაბა აბაშის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და ნოღაზაშის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.
55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წალენჯიხის რაიონის დაბა წალენჯიხის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ.
56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების შესახებ.

## განყოფილება მეორე

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ო. მარღანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. ლომინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ზ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. აბრამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. ქებულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**41 ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ნ. აბრამოვის გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ალექსანდრე ნიკიტას ძე **აბრამოვი** ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 იანვარი.
№ 2115-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**42 ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნ. მ. პეგოვის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ნიკოლოზ მიხეილის ძე პეგოვი ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 იანვარი.
№ 2116-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**43 ამხ. კ. ი. ბრეხოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კონსტანტინე ივანეს ძე **ბრეხოვი** სსრ კავშირის მინისტრად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 იანვარი.
№ 2141-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 44 ამხ. ვ. ს. ფედოროვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ სტეფანეს ძე **ფედოროვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 იანვარი.
№ 2142-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 45 სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის საერთო-საკავშირო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი საერთო-საკავშირო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 იანვარი.
№ 2148-VI.

## განყოფილება მეორე

### 46 იმ სტუდენტთა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მშენებლობაზე ყაზახეთის სსრ ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებში

ყაზახეთის სსრ ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების მშენებლობაზე აქტიური მონაწილეობისა და სტუდენტთა რაზმების მუშაობის კარგი ორგანიზაციისათვის დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ბაკუნი** — მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი.

2. სერგი ფილიპეს ძე **ლიტვინენკო** — ყაზახეთის ალკკ ყამირის სამხარეო კომიტეტის სამრეწველო კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგე.

3. ანატოლი თევდორეს ძე **პერევოზნოვი** — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

4. ვიაჩესლავ დიმიტრის ძე **პისმენი** — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი.

5. ანატოლი პეტრეს ძე **შერეპოვი** — მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ინჟინერი.

## მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. გალიმ **აბილსიიტოვი** — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

2. ალექსანდრე მიხეილის ძე **გოდინი** — მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ასპირანტი.

3. ივანე ვასილის ძე **დანკოვი** — მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტი.

4. ანატოლი სტეფანეს ძე **ეველევი** — ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

5. ანატოლი პავლეს ძე **ვოლოშჩენკო** — კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინჟინერი.

6. ვლადიმერ მიხეილის ძე **იგოლნიკოვი** — კიევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტი.

7. იური სტეფანეს ძე **ნეკრასოვი** — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

8. გრიგოლ პავლეს ძე **ოხრიმენკო** — მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტი.

9. ვლადიმერ გიორგის ძე **შეიმანი** — ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 იანვარი.

№ 2128-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**47** **სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ნ. ვ. პიგულევსკაიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნინო ვიქტორის ასული პიგულევსკაია დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 იანვარი.
№ 2129-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**48** **სსრ კავშირის სახალხო არტისტ მ. ი. ცარიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ივანეს ძე ცარიოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 იანვარი.
№ 2130-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**49** **უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის მ. ე. ომელიანოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში დამსახურებისათვის და სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი მიხეილ ერაზმის ძე ომელიანოვსკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 23 იანვარი.
№ 2138-VI.

ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 50 ამხ. ჩ. ბ. უიანაევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ჩომაი ბატალის ძე **უიანაევი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 23 იანვარი.
№ 2139-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 51 ამხ. მ. კ. ზაპოროჟეცის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. მარია კუზმას ასული **ზაპოროჟეცი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 23 იანვარი.
№ 2140-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 52 აკადემიკოს ი. მ. მაისკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე მიხეილის ძე **მაისკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 იანვარი.
№ 2143-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 53 იაკუტიის ასსრ ალმასის მომპოვებელი მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

იაკუტიის ასს რესპუბლიკაში ალმასის მომპოვებელი მრეწველობის შექმნაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. სიმონ მიტროფანეს ძე **ვასილიევს** — ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „იაკუტალმაზის“ მაღარო „მირნის“ ექსკავატორის მემანქანეს.
2. ვიქტორ ილარიონის ძე **ტიხონოვს** — ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „იაკუტალმაზის“ მმართველს.
3. ვასილ გრიგოლის ძე **ტროფიმოვს** — ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „იაკუტალმაზის“ მაღარო „მირნის“ მეექსკავატორეთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 იანვარი.
№ 2144-VI.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის სავაჭრო შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ტანგანიკის რესპუბლიკის მთავრობამ, რომელთაც სურთ განამტკიცონ და განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე, შეთანხმდნენ მისცენ თვითეულ მხარეს უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის უთუო რეჟიმი ისეთ საკითხებში, რომლებიც შეეხება ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობას.

1963 წლის 14 აგვისტოს დარ-ეს-სალამში დადებულ იქნა სავაჭრო შეთანხმება.

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 11 ნოემბერს; ტანგანიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1963 წლის 8 ნოემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა დარ-ეს-სალამში 1963 წლის 2 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ (№ 3, 1964 წლის 15 იანვარი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა კუვეიტის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ს. ი. შამასმა

ა. წ. 21 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კულატოვმა კრემლში მიიღო კუვეიტის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საიდ იაკუბ შამასი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდა საელჩოს მესამე მდივანი ი. ხ. ბოურისლი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგარეო კავშირურთიერთობათა განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. კორნევი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გაცვლისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ტ. კულატოვი ესაუბრა ს. ი. შამასს. საუბარში მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ს. გ. ლაპინმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა კენიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. ა. ოტუკომ

ა. წ. 18 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კულატოვმა კრემლში მიიღო კენიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფანუელ ადალ ოტუკო, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდა საელჩოს დიპლომატიური თანამშრომელი პ. მ. ეჩარია.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარემო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი და დ. პ. პოჟიდაევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობათა განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი და სხვა ოფიციალური პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ტ. კულატოვსა და ფ. ა. ოტუკოს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ი. ა. მალიკმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ტ. კულატოვს რწმუნების სიგელები გადასცა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტ. სიმოდამ

ა. წ. 24 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. კულატოვმა კრემლში მიიღო იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტაკესოო სიმოდა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ა. სიგემიცუ, მრჩევლები მ. ენდო, ძ. იმაი, ატაშე თავდაცვის საკითხებში პოლკოვნიკი ხ. ნობორუ, ავიაციის პოლკოვნიკი ნ. ფუძისავა და საელჩოს სხვა თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი და ნ. გ. სუდარიკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ტ. კულატოვსა და ტაკესოო სიმოდას შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ვ. ვ. კუზნეცოვმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

იაკუტიის ასს რესპუბლიკაში ალმასის მომპოვებელი მრეწველობის შექმნაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 24 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა იაკუტიის ასსრ ალმასის მომპოვებელი მრეწველობის 147 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ჩრდილო-აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე კ. ვ. ვორობიოვი, ტრესტ „იაკუტალმაზის“ მთავარი ინჟინერი ლ. ვ. ქელიაბინი, მაღარო „მირნის“ ექსკავატორის მემანქანე პ. ვ. კაზაკოვი, მაღარო „მირნის“ გამამდიდრებელი ფაბრიკის ზეინკალთა ბრიგადირი პ. ვ. პეტროვი, მაღარო „მირნის“ მბურღავი ი. დ. ტუევი და მაღარო „მირნის“ გამამდიდრებელი ფაბრიკის ელექტროშემდუღებელი მ. ვ. შაიდიანოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 23 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 40, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 39 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 39 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**54 გეგეჭკორის რაიონის დაბა აბაშის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და ნოღახაშის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას გეგეჭკორის რაიონის დაბა აბაშა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო აბაშის სადაბო საბჭო — აბაშის საქალაქო საბჭოდ.

გაუქმდეს ნოღახაშის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები ნოღახაში და კაპანა მათი ქალაქ აბაშასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**55 წალენჯიხის რაიონის დაბა წალენჯიხის რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას წალენჯიხის რაიონის დაბა წალენჯიხა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო წალენჯიხის სადაბო საბჭო — წალენჯიხის საქალაქო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**56 საქართველოს სსრ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების მიზნით **გაერთიანდეს:**

ახმეტის რაიონის ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის სასოფლო საბჭოები — ერთ, ზემო ალვანის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ ზემო ალვანში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხის რაიონის ვარხანისა და ხევაშენის სასოფლო საბჭოები — ერთ, ვარხანის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ ვარხანში;

ბოლნისის რაიონის ამამლოსა და ოროზმანის სასოფლო საბჭოები — ერთ, ამამლოს სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ ამამლოში;

გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონისა და ტალერის სასოფლო საბჭოები — ერთ, დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ დიდ ჭყონში;

ზუგდიდის რაიონის ქარიატისა და ყულევის სასოფლო საბჭოები — ერთ, ქარიატის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ გაღმა ქარიატაში; გამოეყოს ამავე რაიონის პირველი ხორგის სასოფლო საბჭოს სოფლები: გაღმა პირველი ხორგა და ახალსოფელი, ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოს — სოფელი განთიადი და შეიქმნას განთიადის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ განთიადში;

თეთრიწყაროს რაიონის ორბეთისა და ღვევის სასოფლო საბჭოები — ერთ, ორბეთის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ ორბეთში; ბაშქოისა და არჯევან-სარვანის სასოფლო საბჭოები — ერთ, ბაშქოის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ ბაშქოიში;

საგარეჯოს რაიონის მანავისა და თოხლიაურის სასოფლო საბჭოები — ერთ, მანავის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ მანავში;

სამტრედიის რაიონის ოფეთისა და გამოჩინებულის სასოფლო საბჭოები — ერთ, ოფეთის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ ოფეთში;

ხაშურის რაიონის მოხისისა და ტყემლოვანის სასოფლო საბჭოები — ერთ, მოხისის სასოფლო საბჭოდ ცენტრით სოფელ მოხისში.

**გაუქმდეს:**

მცხეთის რაიონის ქვემო ხანდაკის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები ქვემო ხანდაკი და მირიანი მიეკუთვნოს კავთისხევის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი მიქელწყარო — კასპის საქალაქო საბჭოს;

წყალტუბოს რაიონის ციხია-ბობოთის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები ციხია, ბობოთი, კორეეთი და ნაძვა მიეკუთვნოს გურნის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი მანდიკორი — ორპირის სასოფლო საბჭოს;

ტყიბულის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში არსებული ხარისთვალის სადაბო საბჭო და მასში შემავალი დაბა ხარისთვალა და შაორჰესის დასახლება მიეკუთვნოს ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის სასოფლო საბჭოს;

ცხაკაიას რიონის შხეფის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები შხეფი და საკინწურაშვილო შეუერთდეს ქალაქ ცხაკაიას ტერიტორიულად ქალაქ ცხაკაიასთან მათი შეზრდის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 იანვარი.

მუხ. 57
ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 57 ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მოწინავე მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. მერი მაქსიმეს ასული **გამსახურდია** — ქაღალდის ფაბრიკის შემფუთავი.
2. სპირიდონ მაქსიმეს ძე **გეთია** — კომბინატის დირექტორის მოადგილე.
3. ანდრო კალისტრატეს ძე **გოგელიანი** — ცელულოზის ქარხნის ოსტატი.
4. კონდრატე ილიას ძე **დარასელია** — კომბინატის საამქროს უფროსი.
5. ილია უტუს ძე **ესართია** — კომბინატის განყოფილების უფროსი.
6. სილოვან გრიგოლის ძე **ვეკუა** — კომბინატის მთავარი კონსტრუქტორი.
7. ალექსი კასიანეს ძე **ზემლიანოი** — კომბინატის ინჟინერ-მექანიკოსი.
8. ნიაზი ფილიპეს ძე **თიკანოლლი** — კომბინატის უფროსი მექსელე.
9. ინდიკო ამბროსის ძე **კუხალაშვილი** — კომბინატის მთავარი ინჟინერი.
10. გიორგი ექვთიმეს ძე **მიქენაია** — კომბინატის მექსელე.
11. ნიკოლოზ პეტრეს ძე **ნადარაია** — ქაღალდის ფაბრიკის განყოფილების უფროსი.
12. ვალერიან ზოსიმეს ძე **ნანავა** — ქაღალდის ფაბრიკის უფროსის მოადგილე.
13. ბიძინა მიხეილის ძე **ჟორდანია** — კომბინატის უფროსი ოსტატი.
14. ანტონინა პეტრეს ასული **სუხარუკოვა** — კომბინატის მთავარი ტექნოლოგი.
15. ვალერიან აკაკის ძე **ფიჩხაია** — კომბინატის განყოფილების უფროსი.
16. ტერენტი ტაიას ძე **ყუფუნია** — კომბინატის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი.
17. ნიკოლოზ კირილეს ძე **ჩაჩიბაია** — კომბინატის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.
18. ვალერიან ილარიონის ძე **ციციშვილი** — კომბინატის დირექტორის მოადგილე.
19. ეთერი არჩილის ასული **ცქიტიშვილი** — კომბინატის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს ინჟინერი.
20. არსენ გიორგის ძე **ჭანტურია** — კომბინატის უსაფრთხობის ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ხვიჩია** — კომბინატის მექანიკური სახელოსნოს ზეინკლების ბრიგადირი.

22. ბესარიონ ანტონის ძე **ჯანაშია** — კომბინატის დირექტორი.

23. შოთა აკაკის ძე **ჯლანჯლავა** — კომბინატის განყოფილების უფროსი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 58 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ჯარებში უმწიკვლო სამსახურისა და საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ნიკოლოზ პროხორის ძე **ასტახოვი** — პოდპოლკოვნიკი.
2. მიხეილ ანტონის ძე **გვასალია** — პოლკოვნიკი.
3. ნიკოლოზ პეტრეს ძე **გოლენკოვი** — პოლკოვნიკი.
4. თეიმურაზ რუბენის ძე **თოფურია** — პოდპოლკოვნიკი.
5. ივანე სავლეს ძე **კუდრიავცევი** — კაპიტანი.
6. ალექსი მაქსიმეს ძე **ნემიკინი** — კაპიტანი.
7. რაჟდენ რომანის ძე **საბანაძე** — უფროსი ლეიტენანტი.
8. პავლე ტროფიმეს ძე **ტესლიუკი** — მაიორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ჯარებში უმწიკვლო სამსახურისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“:**

1. რობერტ არშაკის ძე **ბაგდასაროვი** — უფროსი ლეიტენანტი.
2. ედუარდ ვარლამის ძე **ბახტაძე** — უფროსი ლეიტენანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნიკოლოზ ივანეს ძე ბეზნოშენკო — უფროსი ლეიტენანტი.
4. ივანე პავლეს ძე ლებედი — პოდპოლკოვნიკი.
5. ანდრო გრიგოლის ძე პორტიანკო — პოდპოლკოვნიკი.
6. ვლადიმერ მიტროფანეს ძე რეუტსკი — პოდპოლკოვნიკი.
7. მიხეილ მათეს ძე სიტნიკოვი — კაპიტანი.
8. ოლეგ არსენტის ძე სმირნოვი — კაპიტანი.
9. ალექსი იაკობის ძე ფინენკო — პოლკოვნიკი.
10. ანდრო ივანეს ძე შალატონოვი — კაპიტანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 ამხ. ვ. ო. მარღანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. ვლადიმერ ომარის ძე მარღანია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 61 ამხ. ვ. პ. ლომინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით და ჰიდრომეტეოროლოგიის განვითარების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევო ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ვასილ პავლეს ძე ლომინაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 18 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 62 ამხ. ვ. ზ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის საპროექტო ინსტიტუტის „სოფლმშენსახპროექტის“ მთავარი ინჟინერი ამხ. ვიქტორ ზევინის ძე ჩხეიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 63 ამხ. გ. ნ. აბრამაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით და სატყეო მრეწველობის განვითარებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე აბრამაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 64 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა:**

1. ვლადიმერ გიორგის ძე **გრიგორიანს** — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მსუბუქი ტაქსმოტორების № 2 კანტორის ავტომძღოლს.
2. აბესალომ სერაფიონის ძე **კუჭაიძეს** — პენსიონერს.
3. ლაკონი ვალერიანის ძე **ხუროძეს** — გ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგეს.

ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა:**

1. მირდატ სარქისის ძე აკოფოვს — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატს.
2. ვლადიმერ ფრიდრიხის ძე გედალინს — პენსიონერს.
3. მიხეილ ვასილის ძე მიქაუტაძეს — პენსიონერს.
4. ვალერიან ნესტორის ძე მუჯირს — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ განყოფილების უფროსს.
5. გიორგი პიმენის ძე სამხარაძეს — ქარხანა „თბილელექტროიზოლიტის“ დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 65 ამხ. მ. მ. ქებულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის საპროექტო ინსტიტუტის „საქშახტსახპროექტის“ მთავარი ინჟინერი ამხ. მიხეილ მიხეილის ძე ქებულაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 21 იანვარი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა. მის მუშაობაში, კომისიის წევრებს გარდა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ზ. კახიანმა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მთავარმა გინეკოლოგმა, პროფესორმა კ. ჩაჩავამ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა შ. ქორიძემ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კათედრის გამგემ პროფესორმა პ. შუშანიამ და სხვ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი ქალთა სამედიცინო მომსახურების საქმეში, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას.

გადაწყდა საკითხი განსახილველად შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

კომისიამ განიხილა აგრეთვე საკითხი, თუ როგორ უწევდნენ მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას 1963 წელს მაღალმთიან და საზღვრისპირა რაიონებს. შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი აღნიშნული საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოებისათვის მიმდინარე წელს.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გელბახიანმა.